INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდის (www.heritagesites.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 21 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

www.heritagesites.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
52,38%
67,45%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
32,25%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
34,48%
22,45%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0,00%
0,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
50,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
16,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან გენერალურ დირექტორს. აღსანიშნავია ისიც, რომ სააგენტოს გენერალური დირექტორის ფოტოსურათი, სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონის და ფაქსის ნომრებიც არ არის სახეზე.

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეთა ფოტოსურათები და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეთა კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების)აღწერა.

3. სააგენტოს სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია. ამასთან, ვებ-გვერდზე მართალია მოცემულია მუზეუმ-ნაკრძალთა სამუშაო გრაფიკი, თუმცა ზოგადად სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი არ მოიძიება.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის სარეკვიზიტო ცნობარი (ადმინისტრაციისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). თუმცა აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდზე საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი მუზეუმ-ნაკრძალების სარეკვიზიტო ცნობარი, რომელთა ერთობლიობასა და სამართალმემკვიდრეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს სააგენტო:



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე სრულიად არ მოიძიება ინფორმაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურის შესახებ. მართალია, არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“, თუმცა მასში განთავსებულია ინფორმაცია სააგენტოს გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეების ქვემდებარე ძალიან მცირე რაოდენობის სამსახურების შესახებ, რაც ვერ იქნება მოაზრებული როგორც სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ხე და ყველა მოქმედი სტრუქტურული ერთეულის ჩამონათვალი;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. მონაცემები რომლებიც განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე უშუალოდ ეხება სააგენტოს საქმიანობის სფეროს თუმცა მიუხედავად ამისა, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებათა ბაზები, სტატისტიკური მაჩვენებლები, საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები, ტენდერების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

7. არ მოიძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; აგრეთვე არ მოიძიება არანაირი ინფორმაცია გენერალური დირექტორის მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტებისა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ.

8. არ მოიძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი პროგნოზები, აგრეთვე მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

9. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ინფორმაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ სხვა საჯარო დაწესებულებებთან (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან), პოლიტიკურ გაერთიანებებთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები და სააგენტოს ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიში.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც განთავსებული იქნებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის და სააგენტოს გენერალური დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აგრეთვე სასურველია მოიძებოდეს სააგენტოს დებულება და შინაგანაწესი შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებებში.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

13. ინფორმაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

15. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ტენდერებისა და აუქციონების არქივი (ელექტრონული აუქციონების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია განყოფილებაში „სიახლე“), აგრეთვე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა

ჩამონათვალი და პირობები.



ელექტრონული აუქციონი უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში ღია კაფის მოწყობის შესახებ

განცხადება

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აცხადებს ელექტრონულ აუქციონს. სააგენტოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირობადადებულ (ღია კაფის მოწყობა) სარგებლობაში (იჯარით) გადაცემის მიზნით.

ხელშეკრულების ძირითადი პირობები იხ. დანართი #1

სარგებლობაში (იჯარით) გადადასაცემი ქონების დასახელება და მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფ ქვახვრელში, უფლისციხის ისტორიულ არქიტექტურული მეუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი (50 კვმ. საკადასტრო კოდი: 66. 57. 01. 007) კაფე ბარის მოწყობის მიზნით;

ყოველთვიური საწყისი საიჯარო საფასური: 150 ლარი;
ბეს ან/და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ოდენობა 150 ლარი;
ბიჯის სიდიდე : 5 ლარი;

ელექტრონული აუქციონი ჩატარდება: 2011 წლის 13 ივნისის 12:00 სთ - დან 24 ივნისის 18:00 სთ - მდე ვებგვერდზე (www.eauction.ge) .

ელექტრონული აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების შემძენი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:
ა) შესაბამის ვებგვერდზე (www.eauction.ge) დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები);
ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება;
გ) „ინტერნეტ ბანკინგის" სამუალებით, ასევე საბანკო დაწესებულების მეშვეობით ბეს ან/და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის გადახდა.

ბეს ან/და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
სს "საქართველოს ბანკი" ც/ფ. ბ/ვ BAGAGE22;
ანგარიშის # 901913701; საიდენტიფიკაციო კოდი: 20456231;
გადახდის დანიშნულება: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქონების სარგებლობით გაცემის ელექტრონული აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილი „ბე"-ს თანხა.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

16. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები", სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

17. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/ სააგენტოს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი;

- საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სააგენტოსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
50,00%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
29,41%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
42,11%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის მენიუ გრძელდება საიტის ბოლოშიც, რაც იწვევს მომხმარებლის დაბნევას:

- **ძიება**

ვებ-გვერდზე არ არის ინტეგრირებული ძიების მოდული. ასევე ვებ-რესურს არ აქვს დეტალური ძიების ფუნქციაც:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ძალიან ართულებს ინფორმაციის აღქმას 10 პიქსელის ზომის ფონტი. აუცილებელია დავიცვათ სტანდარტები და ფონტის ზომა დავაყენოთ მინიმუმ 12 პიქსელზე:



➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის ფორმა დარღვეულია გამომდინარე იქიდან, რომ ვებ-გვერდის მისამართი არ შეიცავს gov.ge-ის აღნიშვნას. ამავე დროს არსებული დომეინიც არ შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს აბრევიატურას. ასევე გაუგებარია ვებ-გვერდის არსებული მისამართის დაბოლოების მიზანი heritage**sites**.ge ასეთმა სახელწოდებამ შესაძლებელი გააძნელოს დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს ვებ-გვერდის ძიება.

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

მთავარი გვერდის გაუმართავი პროგრამული კოდის გამო ვებ-ბრაუზერის ზოგიერთ ვერსიაში არ ჩანს მთავარი ანიმაცია, რაც ხელს უშლის მომხმარებლების მხრიდან ვებ-გვერდის სათანადო აღქმას:

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან და ელ-ჩართულობა**

სააგენტოს Facebook-ის გვერდს 4000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, თუმცა მოსახლეობასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან უკეთესი კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია თავად სააგენტოს ვებ-გვერდზეც იყოს ინტეგრირებული სოციალური ქსელების სხვადასხვა მოდულები (შეფასება, გაზიარება, სიახლეების გამოწერა, დისკუსიების სივრცე და ა.შ.).

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა ძირითადი პრობლემა - არასწორი პროგრამული კოდი, რომელიც არ არის გათვლილი სხვა და სხვა ბრაუზერებზე. საიტის მთავარი გვერდის ანიმაცია ზოგ ბრაუზერში ჩანს ზოგში კი არ ჩანს. ვებ-გვერდზე პირველ რიგში ასეთი უხეში შეცდომები უნდა გამოსწორდეს და შემდეგ მიექცეს ყურადღებასხვა დეტალებს.
ზოგადად ვებ-გვერდს ვერ ვუწოდებთ ხარისხიან პროდუქტს, რადგან ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის გათვალისწინებული ისეთი წვრილმანი დეტალები, როგორიც არის სიახლეების გამოწერა, დეტალური ძიება და სხვა. ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული აგრეთვე თანამედროვე დიზიანისა და პროგრამული კოდის ტენდენციები.